მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

4 ივნისი, 2018
09/03-50

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ მაია ზავრიშვილს

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
ს/კ: 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული მოქმედება:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის უარი მწვანე ალტერნატივას მიერ 2018 წლის 20 მარტის #09/03-49 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს მწვანე ალტერნატივას მიერ 2018 წლის 20 მარტის #09/03-49 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემა.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

<u>ფაქტობრივი გარემოებანი:</u>
1. 2018 წლის 20 მარტს მწვანე ალტერნატივამ #09/03-49 განცხადებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა „2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე შპს ჯორჯიან მანგანეზზე გაცემული ლიცენზიის პირობების შესრულების შესახებ სააგენტოში არსებული ინფორმაცია“.
მტკიცებულება: მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 20 მარტის #09/03-49 განცხადება.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 4 მაისის #22/150 წერილით მწვანე ალტერნატივას ზემოაღნიშნული წერილის პასუხად ეცნობა, რომ „"წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის 23 მარტის #22/82 წერილით მიმართა შპს „ჯორჯიან მანგანეზს". აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ჯორჯიან მანგანეზმა" წარმოადგინა პოზიცია მიმდინარე წლის 18 აპრილის #69 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 20 აპრილი #3351) წერილით" და რომ, აღნიშნულის გათვალისწინებით ორგანიზაცია გადაეცემოდა კომპანიის მიერ „წიაღის შესახებ" კანონის 29-ე მუხლის გათვალისწინებით წარმოდგენილი ინფორმაცია (17 გვერდი) .

მტკიცებულება:: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 4 მაისის #22/150.

3. შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სპეციალური მმართველის 2018 წლის18 აპრილის #69 წერილით თანახმად, „შპს „ჯორჯიან მანგანეზი" თანხამაა სსიპ „წიაღის ეროვნულმა სააგენტომ" გასცეს სტატისტიკური ფორმა #1-01-ში დაცული ინფორმაცია გარდა შემდეგ პუნქტებში არსებული ინფორმაცია: 1.2, 2.7.1, 2.7.2, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 5.2.1, 5.2.2 ვინაიდან ხსენებულ პუნქტებში დაცული ინფორმაცია შეიცავს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას და მისი გაცემა დაუშვებელია ვინაიდან ხსენებული როგორც მინიმუმ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბოროტად კონკურენტების მიერ, ვინაიდან ხსენებულის გამოყენებით შესაძლებელია კომპანიის საწარმოო სიმძლავრეების (როგორც არსებულის ასევე სამომავლოს) პროგნოზირება.

მტკიცებულება: შპს „ჯორჯიან მანგანეზის" 2018 წლის 18 აპრილის #69 წერილი

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის ინფორმაციის სრულად გადაცემაზე უარის თქმით უხეშად დაირღვა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას კანონიერი უფლებები და ინტერესები. შესაბამისად, წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს ორგანიზაციის დარღვეული უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებას.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით, ამავე კოდექსის 180.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი). მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

4. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს

ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. ბ) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

5. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.

6. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშს წარადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილებით დამტკიცებული „წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო **პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში)** წესის“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მომზადებული ანგარიშისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად შევსებული **სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01**-ის წარდგენით.

6.1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, საინფორმაციო ანგარიში უნდა მოიცავდეს ტექსტს, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალების განმარტებითი ბარათის სახით.

ა) ტექსტურ მასალაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია:

ა.ა) წიაღით მოსარგებლისა და წიაღით სარგებლობის ობიექტის შესახებ. მასში უნდა აისახოს ინფორმაცია სალიცენზიო ობიექტის მდებარეობის, სამთო მომპოვებელი საწარმოს შესახებ, ასევე, ცალკეულ ობიექტზე არსებული უბნების და სასარგებლო წიაღისეულის ათვისების ხარისხის შესახებ. ინფორმაცია ლიცენზიანტისა და სალიცენზიო პირობების შესახებ;

ა.ბ) მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის ტიპის (სახეობა), მასში სასარგებლო კომპონენტის საშუალო შემცველობის შესახებ. ასევე, მონაცემები საწარმოს წლიური საპროექტო სიმძლავრის შესახებ და ინფორმაცია როდიდან მუშავდება ან იძიება ობიექტი, თუ წარმოადგენს დაძიებულ ან სარეზერვო ობიექტს;

ა.გ) მონაცემები იმის შესახებ, რომ ობიექტზე არსებული რესურსი ბალანსურია, ბალანსგარე, თუ პროგნოზული. იმ შემთხვევაში თუ, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები დამტკიცებულია, უნდა იყოს მონაცემები დამტკიცებული მარაგების ოდენობის შესახებ

(სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის კატეგორიების მიხედვით), მარაგების დამტკიცების ოქმის ნომერი და თარიღი;

ა.დ) საინფორმაციო ანგარიში უნდა მოიცავდეს მონაცემებს ობიექტზე არსებული ცალკეული მარაგების და რესურსების მოძრაობის შესახებ - როგორი იყო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (კატეგორიების მიხედვით) და საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის (კატეგორიების მიხედვით) როგორც ბალანსური, ისე ბალანსგარე მარაგებისათვის. შესაბამისად, უნდა აისახოს მარაგების მდგომარეობის შესახებ მონაცემებში ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იქნა: მოპოვების, დანაკარგების (რაოდენობრივი, ხარისხობრივი), დაძიების შედეგების (კატეგორიების მიხედვით), გადაფასების შედეგების (კატეგორიების მიხედვით) და ტექნიკური საზღვრების ცვალებადობის ან სხვა მიზეზების გამო (კატეგორიების მიხედვით);

ბ) ანალიტიკურ მასალაში მოცემული უნდა იყოს წიაღით სარგებლობის ძირითადი პარამეტრები: სალიცენზიო ფართობი, სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული მარაგები და რესურსები ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის სასარგებლო წიაღისეულის სახეობების მიხედვით (კატეგორიები); ასევე, მონაცემები ჭაბურღილების, გვირაბებისა და თხრილების გაყვანის (რაოდენობა, სიგრძე), ღარული და ტექნოლოგიური სინჯებისა და საცდელი კარიერების შესახებ, ღია კარიერული წესით დამუშავებისას გადახსნითი სამუშაოების წარმოების და მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გამხსნელი და მოსამზადებელი გვირაბების გაყვანის შესახებ; მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის შესახებ საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის, საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის და ამ პერიოდში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის შესახებ (კატეგორიებისა და მოცემული ობიექტისათვის სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალის მიხედვით) როგორც ძირითადი, ისე თანმდევი სასარგებლო წიაღისეულისათვის; ინფორმაცია სანაყაროებზე, სპეცსაწყობებში და შლამ და კუდსაცავებში დაგროვილი და/ან დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულისა და მათი გადამუშავების შესახებ საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და სასარგებლო წიაღისეულის დარჩენილი ოდენობის შესახებ საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის; ასევე, წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების, მათ შორის, რეგულირების საფასურის შესახებ;

(ზემოაღნიშნული ინფორმაცია წიაღით სარგებლობის სახეების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შევსებულ სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01-ში.);

გ) თანდართული გრაფიკული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს:

გ.ა) ტოპოგეგმით, რომელზეც ასახული იქნება საანგარიშო პერიოდში დამუშავებული ფართობის პარამეტრები: X, Y, Z (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე);

გ.ბ) სალიცენზიო ტერიტორიის ტოპოგეგმები დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის, ნაწილობრივ ან სრულად გადაცემის, ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ელექტრონული ვერსიით, ასევე, გეოინფორმაციული სისტემების ფაილებით.

ლიცენზიის პირობების დაცვის შესახებ საინფორმაციო ანგარიშები არ გადმოგვეცა ყოველგვარი განმარტების გარეშე.

6.2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილებით დამტკიცებული სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01 შევსების ინსტრუქციის თანახმად:
სტრიქონი 1.2- ში მიეთითება წიაღით სარგებლობის ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიით განსაზღვრული ჯამური მარაგი.

სტრიქონებში 2.1–2.8 აისახება საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მოცულობები, რომელსაც განახორციელებენ წიაღით მოსარგებლეები მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შესწავლისა და მისი შემდგომი მოპოვების პროცესში;

სტრიქონი 3.1- ში მიეთითება წიაღით სარგებლობის ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის.

სტრიქონი 3.2- ში მიეთითება წიაღით სარგებლობის ობიექტზე საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა . სავალდებულოა მიეთითოს სტრიქონი 3.2- ის ქვემოთ ჩამოთვლილი სამრეწველო კატეგორიები;

სტრიქონი 3.3- ში მიეთითება საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის წიაღით სარგებლობის ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის დარჩენილი მარაგების ოდენობა . სავალდებულოა მიეთითოს სტრიქონი 3.3 - ის ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები;

სტრიქონები 4.1–5.3 ივსება ლიცენზიანტების მიერ, რომელთა წიაღით სარგებლობა დაკავშირებულია სანაყაროების, სპეცსაწყობებისა და შლამ და კუდსაცავების არსებობასთან და ამ ობიექტებზე სასარგებლო წიაღისეულის დაგროვებასთან ან/და მათგან სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებასთან .

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01-ში წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილი შინაარსის ინფორმაციის ჩვენთვის არ გადმოცემის მიზეზი სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით იყო **წიაღის შესახებ კანონის 29-ე მუხლი**; ხოლო შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ დირექტორის განმარტებით **„შეიცავს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას“.** „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი არ არეგულირებს ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

7. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის დ[2]) პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის წერილობითი, ვიზუალური, ელექტრონული, ზეპირი ან ნებისმიერი მატერიალური ფორმით წარმოდგენილი ყველა სახის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

ა) გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა, როგორებიცაა ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი, ბუნებრივი ობიექტები, მათ შორის, ჭაობი, სანაპირო ზოლი და საზღვაო ტერიტორია, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ჩათვლით, და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ფაქტორები, როგორებიცაა ენერგია, ხმაური, რადიაცია, აგრეთვე ნარჩენები, მათ შორის, რადიოაქტიური ნარჩენები, ქიმიური ნივთიერებები, ემისიები და სხვა სახის დაბინძურება, რომლებიც გავლენას ახდენს ან, სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „დ2.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე;

გ) ღონისძიებები (ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩათვლით), როგორებიცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები, პროგრამები, გარემოსდაცვითი შეთანხმებები, და საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს ან, სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „დ2.ა“ და „დ2.ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ფაქტორებზე, ასევე იმ ღონისძიებებსა და საქმიანობებზე, რომლებიც განკუთვნილია ამ ელემენტების დასაცავად;

დ) ანგარიშები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების შესახებ;

ე) ხარჯთსარგებლიანობა და სხვა ეკონომიკური ანალიზები და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ამ მუხლის „დ2.გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ღონისძიებებისა და საქმიანობების ფარგლებში;

ვ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მათ შორის, კვებითი ჯაჭვის დაბინძურება, ადამიანის ცხოვრების პირობები, კულტურული ობიექტების და მათთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე გავლენას ახდენს ან, სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ მუხლის „ბ“ და „დგ“ ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტორები, ღონისძიებები და საქმიანობები ამ ელემენტების მეშვეობით;

ზემოთმოყვანილი განმარტება ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნის ინფორმაცია არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით. მათ შორის არის

„ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“, რომლის თანახმად - ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.

8. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პარაგრაფების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას: ა) რაიმე ინტერესის გაცხადების გარეშე; ბ) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით თუ;

I) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნას მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას.

II) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით“.

9. სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ

WWW.GREENALT.ORG

სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

10. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივარი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის დავალდებულების შესახებ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

11. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით;
3. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს მწვანე ალტერნატივას მიერ 2018 წლის 20 მარტის #09/03-49 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემა.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 20 მარტის #09/03-49 განცხადება - 1 ფურცელი;

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 4 მაისის #22/150 – 18 ფურცელი;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
4. რწმუნებულება - 1 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი